საგადახდო დავალება N520

"01" აპრილი 2014 წელი

რეფერენსი
2622277770

გადამხდელის დასახელება: შ.პ.ს. მწვანე სახლი

ანგარიში (დებეტი) GE08BG0000000126277400
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა
8000-00

თანხა სიტყვებით
რვა ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შ.პ.ს. მწვანე სახლი

საიდენტ. კოდი 205128226

მიმღების დასახელება: თბილისი-შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქ

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

გადახდის დანიშნულება: თანახმად დადგენილება #000456 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე 28.02.2014წ.

დამატებითი ინფორმაცია:

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 01.04.14

გატარებულია ბანკის მიერ: 01.04.14

ხელმოწერა

შტამპის ადგილი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____

მთ. ბუღალტერი _____

ბ.ა.

J.S.C. "BANK OF GEORGIA" CENTRAL BRANCH

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/063-14 28 . 02 2014 წ.

დადგენილება №000456
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

28.02.2014წ. **ქ.თბილისი, შარტავას 7**

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2013 წლის 12 დეკემბრის №000456 მითითება და 2014 წლის 03 იანვრის №000456 შემოწმების აქტი შედგენილი **შპს „მწვანე სახლი"-ს** (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №52) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №52-ში (ს/კ №01.18.10.003/049) შპს „მწვანე სახლი"-ს მიერ განხორციელდა ლითონის კონსტრუქციისა და ლითონის სვეტების (სათბური) მოწყობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2013 წლის 12 დეკემბერს შედგენილ იქნა მითითება №000456, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა მითითების გაცემის მომენტისათვის არსებული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან ობიექტის დემონტაჟის განსახორციელებლად.

2014 წლის 03 იანვარს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000456, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2014 წლის 24 იანვარს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შპს „მწვანე სახლი"-ს დირექტორი მოქ. მირიან მდივანი (პ№01024004078), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ აღნიშნული სათბურის მშენებლობა დაიწყო 2013 წლის ნოემბრის თვეში, ხოლო ახლა მიმართული აქვთ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ნებართვის ასაღებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შპს „მწვანე სახლი"-ს ჩადენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის

გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №52-ში (ს/კ №01.18.10.003/049) განხორციელდა ლითონის კონსტრუქციისა და ლითონის სვეტების (სათბური) მოწყობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შპს „მწვანე სახლი" დაჯარიმდეს 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №52-ში (ს/კ №01.18.10.003/049) შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე კონსტრუქციისა და ლითონის სვეტების (სათბური) მოწყობისათვის;

2. შპს „მწვანე სახლი"-ს დაევალოს ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №52-ში (ს/კ №01.18.10.003/049) უნებართვოდ მოწყობილი კონსტრუქციისა და ლითონის სვეტების (სათბური) დემონტაჟი;

3. შპს „მწვანე სახლი"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4 საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შპს „მწვანე სახლი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის

ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე **ქ. შვილი**

07/140361-23

2. 11. 2011.

შ.პ.ს "გამწვანება კრწანისის" დირქტორს:მირიან მდივანს.
მის:ქ.თბილისი გორგასლის ქ.№52

თქვენი 21.10.2011 წლის №07/140361-23 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობასთან არსებულმა გამწვანების დარგის შემსწავლელმა კომისიამ განიხილა, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე მდგარი ხუთი ძირი კაკლის ხეების მდგომარეობა,აქედან ორი ძირი გამხმარი და სამი ძირი ნახევრად გამხმარი,აქედან 'გამომდინარე ისანი-სამგორის რაიონის გამგეობასთან არსებულმა გამწვანების დარგის შემსწავლელმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ავარიული სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, მოგცეთ ნებართვა ქ.თბილისი,გორგასლის ქ.№52-ში მდებარე შ.პ.ს. "გამწვანება კრწანისის" ტერიტორიაზე **(თუ აღნიშნული ხეები არ მდებარეობს სხვისი საკუთრების ან სარგებლობის მიწის ნაკვეთზე)**მოახდინოთ ხუთი ძირი გამხმარი და ნახევრად გამხმარი კაკლის ხიდან,ოთხი ძირის მოჭრა ხოლო ერთი ძირი კაკლის ხის გამხმარი და მოტეხვის საშიშროების მქონე ტოტების შესხვლა .

სამუშაოები უნდა ჩატარდეს **აგროტექნიკური** ღონისძიებების და **უსაფრთხოების ზომების** სრული დაცვით, გამწვანების სპეციალისტების მიერ.

გამგებლის მოადგილე
კომისიის თავმჯდომარე ბ. გაზდელიანი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ისნის რაიონის გამგეობა
ასლი დედანთან სწორია!
აპარატის უფროსი.

აპარატი

შემსრ: ბ.ხარძიანი